



**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #02-03/39**

**ქ. ბათუმი**

**15 ნოემბერი 2018 წელი**

**2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჯარის ტელევიზია და რადიოში“ მოქმედები წესების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს-საარჩევო კოდექსი“ 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35(10)-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის #351/2018 განკარგულების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურისთვის სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჯარის ტელევიზიისა და რადიოს“ ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფებთან დაკავშირებით მოქმედებს მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 05 სექტემბრის #02-03/30 ბრძანებით დამტკიცებული ტარიფები .
2. 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურისთვის სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის აჯარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით მოქმედებს მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 05 სექტემბრის #02-03/31 ბრძანებით დამტკიცებული წესი.
3. 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის გამოყოფილი უფასო სარეკლამო დროის მიმართ მოქმედებს მაუწყებლის დირექტორის 2018 წლის 12 ოქტომბრის #02-03/35 ბრძანებით დამტკიცებული წესი.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 27 ნოემბრის 24:00 საათამდე.

ნათია კაპანაძე

დირექტორი

